



თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 10  
27/02/2019

10-09-4-201902271738



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის  
№71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში  
განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ  
საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“  
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:  
**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 08/01/2019, 010250050.35.163.016449).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამა“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ვ.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„ბ.ვ) უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში განცხადების წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს, გარდაცვლილის ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართიდან „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამა“ ამოღებულ

იქნეს მე- 4 მუხლის მე-8 პუნქტი „საწარმოო ტრამვის შედეგად დაშავებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამა“.

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

